მოტივაციის განმაპირობებებელი და შემაფერხებელი ფაქტორები სასტუმროს ბიზნესის მაგალითზე

თემური ხინიკაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერისტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სალომე დანელია.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

განაცხადი

“როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“

თემური ხინიკაძე

თ.ხინიკაძე 17.06.2024

აბსტრაქტი

დღეს, ორგანიზაციის მთავარი სიმდიდრის, თანამშრომელთა რესურსების ეფექტიანი გამოყენების მიღწევა შესაძლებელია, მხოლოდ მაშინ, როდესაც თანამშრომლები მაქსიმალურად იქნებიან მოტივირებულები და დაინტერესებულები საკუთარი შრომის შედეგებით. ნაშრომში წარმოჩენილია თანამშრომელების მოტივაციის განმაპირობებებელი და შემაფერხებელი ფაქტორები ორგანიზაციის ეფექტიანობის და პროდუქტიულობის ამაღლებაში.

თანამედროვე ორგანიზაციების პროდუქტიულობის წინაპირობად თანამშრომელების მიერ კარგად შესრულებული სამუშაო ითვლება, ხოლო თანამშრომელების მოტივირება ორგანიზაციის პროდუქტიულობის მიღწევის წინაპირობად, რის გამოც ორგანიზაციები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ თანამშრომელების მოტივაციას.

ნაშრომი შედგება სამი თავისაგან. პირველ თავში, შრომის მოტივირების არსი და ძირითადი პრინციპები, განხილულია ისეთი საკითხები, როგორიცაა: მოტივაციის საფუძვლები და მოტივაციის თეორიები. ნაშრომის მეორე თავში, თანამშრომელების მოტივაციის როლი ორგანიზაციაში, განხილულია თანამშრომელების მოტივაციის მნიშვნელობა ორგანიზაციაში, მოტივაციის მეთოდები და მათი გამოყენების თავისებურებები ორგანიზაციებში, კერძოდ სასტუმრო ინდუსტრიაში.

ნაშრომში გაანალიზებულია ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევა, რომლის მიზანი იყო მოტივაციის განმაპირობებებელი და შემაფერხებელი ფაქტორების დადგენა ორგანიზაციის ეფექტიანობის და პროდუქტიულობის ამაღლებაში. კვლევის მეთოდად გამოყენებულია შერეული მეთოდი, ჩატარდა რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევა. კვლევისათვის ავირჩიეთ სასტუმრო ბიზნესი, რომელიც სპეციფიკურ ბიზნესია და მისი ფუნქციონირება შეუძლებელია ისეთი თანამშრომლების გარეშე, რომლებიც განაპირობებენ სასტუმროების ეფექტურობას, პროდუქტიულობას და ქმნიან სასტუმროს იმიჯს.

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, სასტუმრო ბიზნესში სასტუმროს ეფექტურობას და პროდუქტიულობას განაპირობებს, მაღალკვალიფიციური

თანამშრომლები და თანამშრომელთა მოტივაცია. სასტუმროების ეფექტური ფუნქციონირებისათვის აუცილებლობას წარმოადგენს მოტივირებული თანამშრომლების არსებობა, მათ მოტივაციას, კი განაპირობებს სამუშაო გარემო და მოტივაციის, როგორც მატერიალური, ისე არამატერიალური მეთოდები, მნიშვნელოვან როლს ასრულებს სამართლიანად განსაზღვრული სახელფასო და საბონუსე სისტემა.

კვლევამ გვიჩვენა, რომ სასტუმრო ინდუსტრიის თანამშრომელები მიიჩნევენ, რომ მოტივაციას განსაზღვრავს: სამართლიანი ანაზღაურება, დაფასება, აღიარება, კარიერული და პროფესიული განვითარების შესაძლებლობა. მოტივაციის საუკეთესო მეთოდებად გამოყოფენ საბონუსო სისტემას, კარიერულ წინსვლას და თვის, ან წლის საუკეთესო თანამშრომლად გამოცხადებას, სხვადასხვა სოციალურ აქტივობებს და შექებას.

კვლევის შედეგები შესაძლოა გამოყენებული იქნეს სასტუმროს ინდუსტრიაში თანამშრომელთა მოტივირების გაზრდის კუთხით.

ძირითადი საძიებო სიტყვები: მოტივაცია, სამუშაო გარემო, საბონუსე სისტემა, სასტუმროს ინდუსტრია და სხვა.

Abstract

Today, the main wealth of the organization, the effective use of employee resources, can be achieved only when employees are maximally motivated and interested in the results of their work. In the paper, as far as possible, the motivating and hindering factors of the employees' motivation in increasing the effectiveness and productivity of the organization are presented.

Well-done work by employees is considered a prerequisite for the productivity of modern organizations, and employee motivation is a prerequisite for achieving organizational productivity, which is why organizations pay special attention to employee motivation.

The work consists of three chapters. In the first chapter, the essence and basic principles of labor motivation, such issues as: the foundations of motivation and theories of motivation are discussed. In the second chapter of the paper, the role of employee motivation in the organization, the importance of employee motivation in the organization, motivation methods and the peculiarities of their use in organizations, in particular in the hotel industry, are discussed.

The research conducted by us is analyzed in the paper, the purpose of which was to determine motivational and hindering factors in increasing the efficiency and productivity of the organization. A mixed method was used as a research method, quantitative and qualitative research was conducted. For the study, we chose the hotel business.

Based on the results of the research, the efficiency and productivity of the hotel in the hotel business are enhanced by highly qualified employees and employee motivation. The existence of motivated employees is a necessity for the effective functioning of hotels, their motivation is determined by the working environment and both material and non-material methods of motivation, a fairly determined salary and bonus system plays an important role.

Research has shown that employees of the hotel industry believe that motivation is determined by: fair compensation, appreciation, recognition, career and professional development opportunities. The best methods of motivation are the bonus system, career advancement and being declared the best employee of the month or year, various social

activities and praise.

The results of the study may be used in the hotel industry in terms of increasing employee motivation.

Main search words: motivation, work environment, bonus system, hotel industry and others.

სარჩევი

აბსტრაქტი..... 3